ხელშეკრულება№ 51
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 12 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"(ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტულუშის სახით და მეორეს მხრივ შპს „ვაზრენოვაცია" (ს/კ 218083160) (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის არჩილ ქავთარაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საღებავების (CPV44810000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია: საღებავი ბეტეკ კრილი 15 ლ. 3(სამი) ცალი ერთეულის ფასია 90(ოთხმოცდაათი)ლარი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 270 (ორასსამოცდაათი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით..

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 მაისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის მომსახურების მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან დაშემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze“ –ს ინფრასტრუქტურის მენეჯერი თენგიზ ბურჯანაძე.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქგორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GoriCITI HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze” მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973	შპს „ვაზრენოვაცია” მისამართი ქ.გორი შინდისის გზ.2. ს.ს „პროკრედიტ ბანკი” MIBGGE22 ანგ №GE50PC0143600100027929 ს/კ 218083160
დირექტორი	დირექტორი
----------	----------
გიორგი ტუღუში	არჩილ ქავთარაძე